



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49233429

თარიღი:08/12/2023

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482334099; 06/12/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (შემდგომში - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“.

3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „შრომის კოდექსის“, ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისათვის.

5. ა(ა)იპ-ს თავისი მიზნების მისაღწევად, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები

საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს კონტაქტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

8. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ იურიდიული მისამართია: ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N25 ელექტრონული ფოსტა: satnoeba777@gmail.com

მუხლი 2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მიზნები და ამოცანები

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მიზნები და ამოცანებია:

ა)სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა (საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანით), მათი უზრუნველყოფა კვებითა და საამისოდ საჭირო, შესაბამისი პირობების მქონე ფართით.

ბ)შესყიდვების განხორციელება ბენეფიციართა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ სტრუქტურა და მართვა

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ წესდებას, საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს, ხარჯთაღრიცხვას და ახორციელებს მათში ცვლილების შეტანას.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ ხელმძღვანელობს მმართველი, მმართველის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. მმართველს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი;

3. მმართველი ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს მმართველის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

მუხლი 4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მმართველი:

1. წარმართავს და ორგანიზებას უწევს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ საერთო საქმიანობას. პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.
2. თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ თანამშრომლებს.
3. კანონით დადგენილი წესით განაგებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;
5. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ყველა ინსტანციაში და დებს (გარიგებებს) ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
6. იღებს გადაწყვეტილებას „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. შეიმუშავებს და ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ შინაგანაწესს.
8. მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.
9. უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოქმედებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ფარგლებში.
10. წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
11. მმართველი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.
12. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას მმართველის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ქონება, დაფინანსება და ანგარიშსწორება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დაფინანსების წყაროებია:
 - ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ შეუძლია, მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობით, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა

ბ) სესხის აღება.

გ) თავდებობა.

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. საქმიანობის კონტროლი

1. ა(ა)იპ-ის საქმიანობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ კონტროლს.

2. ა(ა)იპ-ის საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ა(ა)იპ-ის საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 8. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანების ამოქმედებიდან;
2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;
3. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.